ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 208

"14" აგვისტო 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი №04/139, საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ნაკვეთი №04/139 საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.139) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.751.916 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

					დანართი N1
		ქალაქ თბილისი, აეროპორტის დასახლებაში, რკინიგზის ჩიხის მიმდებარედ (ნაკვეთი N04/139) (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.139)			
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინი ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი	საკადასტრო კოდი
1	დალი სეხნიაშვილი	01011069937	სართული 1	91.38 კვ.მ	01.19.26.004.139.04.500
2	გულნარა მიქავა	01011070405	სართული 1	90.56 კვ.მ	01.19.26.004.139.04.501
3	ელისო ფარჯველიანი	10001052608	სართული 2	67.12 კვ.მ	01.19.26.004.139.04.502
4	ლალი საღლიანი	12001089145	სართული 1	133.70 კვ.მ	01.19.26.004.139.04.503